

ბუღინგის ფორმები და გამოვლინებები საბაზო და მაღალი საფეხურის
საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

ზეინაზ ნამგალაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზეინაბ ნამგალაური

21.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ბულინგის ფორმები და გამოვლინებები, საბაზო და მაღალი საფეხურის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ახსნილია ბულინგის ზოგადი განმარტებები და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. მოცემულია საერთაშორისო კვლევები აღნიშნული თემის ირგვლივ. ნაშრომში მოყვანილია კონკრეტული მაგალითები ჩვენი ქვეყნისა და უცხო ქვეყნების გამოცდილებებიდან. საკითხის უკეთ შესასწავლად და შესადარებლად ასაკობრივი თვალსაზრისით მოცემული კვლევა ჩატარდა თბილისის ორ საჯარო სკოლაში, საბაზო და მაღალი საფეხურის სკოლის მოსწავლეებში და ამავე სკოლების პედაგოგებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა განსხვავება ბულინგის ფორმის სხვადასხვა გამოვლინები ორ ასაკობრივ ჯგუფს შორის (მეხუთე და მეთექვსმეტე კლასები). კვლევაში დეტალურადაა გაწერილი ის ფორმები და გამოვლინებები, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება ამ ასაკობრივ ჯგუფებში. ასევე მოყვანილია ბულინგის პრევენციის გზები, რომელიც მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან იქნა გამოხატული.

საკვანძო სიტყვები: ბულინგი ფორმები და გამოვლინებები; ბულინგი სკოლებში.

ABSTRACT

The present work discusses the forms and manifestations of bullying with students of elementary and high public schools. There are explained general meanings of bullying and the search of ways of its eradication. International researches around this topic are given. The study provides specific examples from our country and some other foreign countries. The present research was carried out in two public schools of Tbilisi, among the elementary and high level students and teachers of same schools.

The research revealed various types of bullying among two age groups (fifths and tenth grades). The paper explains in details those forms and manifestations that are most common in these age groups. There are also presented the ways of bullying prevention offered by students and teachers.

Keywords: Bullying forms and manifestations; Bullying in schools.

მადლობა

მადლობას ვუხდით აკადემიურ ხელმძღვანელს შორენა სამაგლიშვილს ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის. ასევე მადლობას ვუხდით იმ საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს რომლებიც მონაწილეობდნენ მოცემულ კვლევაში.